№ 75
პარასკევი, 10 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 75
პარასკევი, 10 აპრილი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ეკატერინე ივანეს ასული სარაჯოვისა, ვასილი და ადამი ივანეს ძენი ფორაქოვები, მარიამი იოსების ასული ცისკაროვისა და დავით ზაქარიას ძე სარაჯოვი,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი და მეორენი დედისა, მესამე დისა და მეოთხე სიდედრის

**ნატალია იოსების ასულის ფორაქაშვილისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად დღეს, 10 აპრილს, სალამოს 7 საათზედ.

მიცვალებულს გაასვენებენ საკუთარის სახლიდგან, რომელიც ავლაბარშია, წმ. მარინეს ეკკლესიაში შაბათს, 11 აპრილს, დილის 10 საათზედ, და იქვე დაჰკრძალავენ. (2—69—1)

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

| | | |
|---|---|---|
| პირველი ტომი გაიყიდება | . | 70 კ. |
| მეორე „ „ | . | 60 „ |
| მესამე „ „ | . | 60 „ |
| მეოთხე (ორი წიგნია) | | 1 მან. 20 „ |

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ, მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—б.—16)



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის

**შულცე-ზენკოვსკისას,**

რომელიც მოთავსებულია მირიმანოვის სახლში და ღია იქმნება მუდამ დღე 10 განყოფილება მხოლოდ ამ დღესასწაულ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ.

**საანატომიო განყოფილება**

ღიაა მხოლოდ დიდებისათვის. ქალებისათვის პარასკეობით, ხოლო მამაკაცებისათვის ყველა დანარჩენ დღეებში. შესასვლელი ფასი 10 კაპ. (5—4)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 10 აპრილს, ავჭალის იაფ-ფასიან სასადილოს სადგომში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ისტორიულ დრამას „თამარ ბატონიშვილს.“ ეს პიესა უნდა ეთამაშნათ წარსულ სამშაბათს, 7 აპრილს, მაგრამ ამ წარმოდგენების გამგეთაგან დამოუკიდებელ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო იგი დღეისათვის გადაიდო.

*** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც 28 მარტს უნდა მომხდარიყო, დანიშნულია 12 აპრილისათვის, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დეპუტატთა კრების სადგომში. ამ კრებაზედ განხილული იქმნება საგნები ტფილისის გუბერნიაში ეროზის შემოღებისა და მეფე ერეკლე მე-II სახელობის სტიპენდიების დაარსების შესახებ.

*** ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი თავ. გ. დ. შერვაშიძე ავადმყოფობის გამო, საზღვარ გარეთ მიდის. თავ. შერვაშიძეს თან მკურნალი თოფურია მიჰყავს.

*** კვირას, 12 აპრილს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება წლიური საზოგადო კრება ტფილისის ურთიერთ შორის დაზღვევის საზოგადოების წევრთა. ეს კრება 29 მარტისათვის იყო დანიშნული, მაგრამ მაშინ არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა.

*** ბაკურციხის საფოსტო სადგურზედ ამიერიდგან გაიგზავნება და იქვე მიიღება წერილები და ყოველგვარი კორესპონდენციები; იმავე სადგურზედ გაიყიდება ფოსტის მარკებიც.

*** რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა, რომ დაისაჯოს კანონით ის, ვინც რკინის გზის ბილეთებს იყიდის და მომეტებულ ფასად გაჰყიდის. რკინის გზების საქმეთა საბჭომ არ შეიწყნარა ეს გარდაწყვეტილება, რადგანაც ზემოხსენებული საქმე დანაშაულად არ ჩაითვლებაო.

*** პოდპოლკოვნიკს ვ. ი. ვარაპაევს აზრადა აქვს ამ დღეებში გამოსცადოს მარკონის მიერ გამოგონილ მანქანებით დეპეშის გადაცემა უმავთულოდ ტფილისსა და ავჭალის შორის.

*** როგორც გაზ. „კავკასი“ იუწყება, მეურნეობის დეპარტამენტის განკარგულებით, იმ აზრით, რომ უფრო ნაკლებ ფასად დაჯდეს ვაზის სხვა-და-სხვა სენის წინაამდეგ საბრძოლველად სამკურნალო წამლების გამოწერა საზღვარ-გარეთიდგან, ეს წამლები რუსეთის ყველა საფილოქსერო კომიტეტებმა ერთად უნდა გამოიწერონ. თვით გამოწერა მინდობილი აქვს ოდესის საფილოქსერო კომიტეტს, რომელმაც უკვე სთხოვა კავკასიის კომიტეტს, ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი გვაცოდინეთო.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ შეიწყნარა უმთავრესი მუხლები მოხსენებისა, რომელიც წარადგინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ხიზანთა საქმის შესახებ. სხვათა შორის აქ მოხსენებული იყო, რომ მიწის პატრონს მისცემოდა საშუალება თავიანთ ადგილებიდგან უფრო ადვილად გადაესახლა ხიზნები. სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს მუხლი მოხსენებისა და გამოსთქვა, რომ 1891 წლის, 3 ივნისის დებულების 7 მუხლი ისევ ისე თავის ძალაში დარჩესო. ამ მუხლის ძალით, თუ ხიზანი ძალით გადაასახლა მებატონემ, რაც ხიზანს დასჯდომია თავისის ადგილის მოსაწყობად, ერთი ორად უნდა დაუბრუნოს.

ამ საქმეს სახელმწიფო საბჭო შემოდგომაზე განიხილავს.

*** გაზ. „Нов. Вр.“ სიტყვით, წელს მთავრობამ გადასდო 548 ათასი მანეთი იმ გზა-ტკეცილის განსაგრძობად, რომელიც ნოვოროსისკიდგან ახალ-ათონში მიდის, 309 ათასი—ბათუმიდგან ახალციხესა და ართვინამდე საქარავნო გზის გასაყვანად, 200 ათასი მანეთი—ასეთისავე გზის გასაყვანად, სოხუმიდგან ულ-ტეხილზედ ყუბანის ოლქში, 300 ათასი მან.—ყარსის მახლობლად ახალის გზა-ტკეცილების გასაყვანად. სულ წელს ახალის გზების გასაყვანად გადადებულია 1,862,260 მან., ხოლო ძველის გზების შესაკეთებლად—1,584,396 მან.

*** სოფ. ოფიშკვეთი. (ქუთაისის მაზრა). აქ ისეთ ნაირად არის გავრცელებული სხვა-და სხვა გვარი ავადმყოფობა, რომ დღეში ერთი ან ორი მიცვალებული უნდა დასაფლავდეს ხოლმე. ამოდენა სოფელს ერთი ექიმი და აფთიაქი მოუხდება, მაგრამ სად არის. სანამ საკუთარი ექიმი გვეღირსებოდეს, კარგი იქმნება ქუთაისიდგან კვირაობით მაინც ამოვიდოდნენ ხოლმე ექიმები და დარწმუნებული ვარ, რომ აუარებელი მუშტარი გამოუჩნდებათ.

*** 7 აპრილს, სალამოს 6—$7^1/_2$ საათზედ, ვიღაცას გაუტეხნია სემინარიის ეკკლესიის კარების კლიტე და იმ ყულაბიდგან, რომელიც საკურთხეველთან ჰკიდია, ფული ამოუღია და წაუღია. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 7 აპრილს ღამით დღიურად მომუშავე ზავლე იელკემა კარბელის სიმყავე დალია დიდუბეში, ბეყოევის სახლებში. იატაკზედ გართხმული იელკე მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. თავის მოწამვლის მიზეზად სამშობლოს დარდსა და ნაღველს ასახელებენ და იმ არა სასიამოვნო წერილს, რომელიც ბოლოს დროს მიუღია სახლიდგან.

---

### პირველი ქართული სალამო ქ. დორპატში (იურიევი).

(წერილი დორპატიდგან)

არა მგონია, სადმე, სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში, ქართველი სტუდენტობის მდგომარეობა ისე გასაჭირი და გამოურკვეველი იყოს, როგორც დორპატში. ჯერ თავად ჩვენივე ხელ-მოკლეობა და სიცოტავე საშუალებას არ გვაძლევს ერთი ერთმანეთს დახმარება აღმოვუჩინოთ და, გარდა ამისა, რადგან სულ სამიოთხი წელიწადია, რაც ქართველობამ აქ ფეხი მოიკიდა, ვერც საზოგადოება გვიცნობს და რასაკვირველია უცნობ უცხოსაგან დახმარება და თანაგრძნობა კი თითქმის ყოვლად შეუძლებელია. თუ სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში ქართველების შესახებ ზედმიწევნილი წარმოდგენა მაინცა აქვთ, პირიქით აქ, დორპატში, სიტყვები—Грузинъ, Georgier ან Kharthwelischer—ზოგს ან არც-კი გაუგონია, ან ეს სიტყვები მხოლოდ სიტყვებად დარჩენიათ და ამ ცნებათა შინაარსი მეტად ბუნდად და განუსაზღვრელად. საყოველთაო ახირებული აზრი ქართველთა შესახებ, ვითომც ეს უკანასკნელნი ზნე-ჩვეულებისა, ენისა, სიმღერა-გალობისა და სხვა სულიერ ძალათა მხრივ მოკლებულნი არიან ყოველსავე თავისებურობასა და საპოლიტიკო-საისტორიო ასპარეზზედ იმ თავით ამ თავამდე გარიყულნი იყვნენო, იქვს გარეშე, ჩვენის დღემდე უთავბოლობითა და უპატრონობით, აქ ამ შორეულ ჩრდილოეთის კუნჭულშიაც მოიკალათებდა. ეგრეთ წოდებულ საზოგადოების აუცილებელ უვიცობასაც რომ ყური არ ვათხოვოთ, მეცნიერების სათავეში მდგომნი თვით პროფესორთაგანნიც-კი არა ერთხელ ჩაჰკითხებიან ჩვენს მოძმეს: ქართველები, ვგონებ, მაჰმადის ან სომეხ გრიგორიანთა სარწმუნოებისანი არიანო! ან კიდევ დეიჩი (ნემეცი), ესტი და სხვა აქაური გვკითხავს, ვინა ბრძანდებითო? მივუგებ—ქართველი ვარ. ქართველები სადა სცხოვრობენო?—კავკასიაში.—ჰოო, ე. ი. მაშ სომეხი ბრძანებულხართო.—?!—გარდა ამისა, ყველა გაშტერდებით შემოგაჩერებს თვალებს, როდესაც ეტყვი, რომ ქართველი სომხურ ან თათრულ ენით კი არა ლაპარაკობს, არამედ თავისი საკუთარი დედა-ენა, ლიტერატურა და ისტორია აქვსო.

აი, ამ ორმა გარემოებამ, ე. ი.

ჩვენმა ხელ-მოკლეობამ და ჩვენის „მე“-ს სხვა ხალხთათვის ბურუს მოსილობამ, გაგვაბედინა და გვაიძულა მიგვემართა იმ საშუალებისათვის, რომლის აუცილებლობა და დიდი მნიშვნელობა უკვე ოც-და-ათი წელია შეიგნეს ჩვენ მოძმეთ, პეტერბურგის ქართველ სტუდენტობამ და მათ შემდეგ სხვა დანარჩენ ქართველ სტუდენტობამაც. ეს საშუალება გახლავთ „ქართული სალამო“, რომელსაც ყველგან საზოგადოება სრულის თანაგრძნობით ეკიდება.

თუ მკითხველს ცოტა რამ გამოცდილება აქვს ამ შემთხვევაში, ან გაუგონია, კარგად ეცოდინება, თუ რა ძნელია პირველი ნაბიჯი. თუ სხვაგან სადმე ქართული სალამოს სვე-ბედი დამოკიდებულია მის გამმართველთა ავკარგიანობისა და გამოცდილებისაგან, პირიქით აქ, დორპატში, მარტო ეს არა კმარა. როგორც მოგეხსენებათ, დორპატი დღეს განსაკუთრებულის გარემოებით არის გარებოცული; ეროვნებათა ისეთს სიჭრელეს და მათ შორის განხეთქილებას კაცი ვერსად შეჰხვდება, როგორც აქ. ამიტომ დორპატის პირველ ქართულ სალამოს სიკოჭლე სიფეხმართლე სრულიად დამოკიდებული იყო, სალამოს გამგეთა ძალღონის გარეშე, თვით დორპატისავე საზოგადოების შეფერება-შეთანხმებისაგან. ამ მხრივ ეჭვი და ცხადი დაბრკოლება თუმცა ბევრი გვქონდა, მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოულოდნელი ბედი ჰხვდა ჩვენ სალამოს. სალამოს აუარებლად დაესწრო ადგილობრივი რჩეული საზოგადოება. ყველა მხიარულობდა, ყველას პირზედ ეკერა ქართულ სალამოს გამარჯვება და უხვად აჯილდოებდა გამგეთ გულითადის მადლობით.

პირველი ქართული სალამო ქ. დორპატში გავმართეთ 14 თებერვალს. თადარიგს თითქმის ორის თვით ადრე შევუდექით. სალამოს პატრონობა იკისრა პატივცემულ პროფესორმა ლეონჰარდ მაზინგმა, რომელსაც ქართველობა კარგად იცნობს. დორპატის ქართველ სტუდენტობას ღრმადა გვაქვს გულს და ჩნეული ბ-ნ ლეონჰარდის მამობრივი და ძმური გულწრფელი დახმარება და იმედი გვაქვს, ჩვენი თანამემამულენიც ღირსეულად დააფასებენ ამ უანგარო მეცნიერის ჩვენთვის თავ-გამოდებას.

სალამოს ჰქონდა მტკიცე ქართული ხასიათი და მისი პროგრამმა შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან: 1) ქართული სიმღერები და რომანსები, 2) ცოცხალი სურათები და 3) საერო ცეკვა-თამაში (დავლური, ლეკური და აფხაზური). პროგრამმა შეასრულეს მარჯვედ და სავსებით. თუმცა გამოცხადებული იყო ბ-ნი ნანობაშვილიც, მაგრამ მისდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ დაესწრო ჩვენს სალამოს, და მისი ნომრები იმღერეს ბ-ნთ ბალანჩივაძემა და ბარათაშვილმა.

პირველი განყოფილება შეასრულეს ხორომ და სოლისტებმა: ქ-ნ ელლი ამონ გრიმმა და ბ-ნ მელ. ბალანჩივაძემ და იოს. ბარათაშვილმა. ხოროში იყო ოც-და-ათი მომღერალი, ქულაჯებში კოხტად გამოწყობილი, და იმღერა შვიდი ხალხური სიმღერა 1) ლილე (სვან.), 2) გაზაფხული, 3) ნანა, შვილო. 4) ნეტავი გოგო მე და შენ, 5) ფაცხა, 6) კუჩხა ბედნიერა (მეგრ.), 7) ცანგალა გოგონა და 8) სამშობლო ხევსურისა—კომპოზიცია ბ-ნ ბალანჩივაძისა. თითოეულს ნომერს ხალხი აღტაცებითა და ტაშის კვრით მიეგება; როდესაც გუნდმა მწყობრად და ნელის ხმით იმღერა „ნანა, შვილო“—ვაშას ძახილს სიზღვარი არა ჰქონდა; ეს სიმღერა სამჯერ ოთხჯერ გაამეორებინა საზოგადოებამ. „ცანგალა გოგონამ“ და ზედ მოხდენილმა ცეკვამ ხომ სულ აღაფრთოვანა საზოგადოება; „გოგონა“, საზოგადოების სურვილისამებრ ერთ ჩარექ საათზედ მეტს გუგუნებდა ტაშის ცემით და თამაშით. მომღერალთა გუნდში დამწყებ ხმებად იყვნენ ბ-ნნი კოტე მაყაშვილი და ოსიკო ბარათაშვილი, რომელთაც თავისის გემოიანისა და ძლიერის ხმით დაატყვევეს საზოგადოების ყურთა სმენა. ბ-ნის ბალანჩივაძისავე ლოტბარობით ორკესტრმაც მწყობრად შეუწყო ხმა ხოროს და ჩვენი სიმღერებიც ერთი-ორად შნოიანი გამოვიდა. ორკესტრმა დასაწყისშივე დაუკრა უვერტიურა ბ-ნ ბალანჩივაძის ოპერისა „თამარ ცბიერი“.—ქ-ნ ელლი ამონ-გრიმმა ამავე ოპერიდგან მოხდენილად იმღერა ქართულის სიტყვებით ცირას პარტია ხოროსა და ორკესტრის აკომპანიმენტით. ბ-ნმა ბარათაშვილმა, ქართულ რომანსების გარდა, თარზედ დაუკრა და დაჰმღერა რამდენიმე ჰანგი.

როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ხოროსაც და ორკესტრსაც ჰმეთაურობდა ბ-ნი ბალანჩივაძე. ბ-ნი მელიტონი სალამომდე ორის კვირით ადრე ჩამოვიდა პეტერბურგიდგან და დიდის გულ-მოდგინებით და სიყვარულით შეუდგა თავისს საქმეს და თვის და სასახელოდ კეთილადაც დააგვირგვინა. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი მელიტონი არამც თუ მარტო დორპატის ქართველობის, არამედ ყველა თანამემამულის მხრივაც, რომ ამ საძნელო, საშვილი-შვილო საქმეს ესე პირნათლად და უანგაროდ ემსახურება. მელიტონის „თამარ ცბიერი“ ქვა-კუთხეთად დაედება ჩვენს ახალგაზდა კომპოზიციას, იგი არა ერთ კომპონისტს გაამხნევებს და დაანახვებს ქართულ მუსიკის სიდიადეს და სიმდიდრეს თვისის მოწოდების დასაკმაყოფილებლად. ოპერა „თამარ ცბიერი“ საგულისხმიეროა ჩვენთვის არა მარტო იმითი, რომ იგი პირველია, არამედ უფრო იმიტომ, რომ აქ ჰმღერის მთელი საქართველო, ჩვენის პატარა ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეთა მელოდია-ჰანგებს თავი მოუყრიათ აქ ერთად და ერთის ხალხისაგან სულ-შთაბერილნი მელიტონის მარჯვე მუზას ერთად შეუფრქვევია, ერთადვე შეუქსოვშეუხამებია.

კონცერტის შემდეგ ცნობილმა მხატვარმა ბ-ნმა ეისნერმა დასდგა ქართული ცოცხალი სურათები: 1) მიჯაჭვული ამირანი, 2) ცხრა ძმანი ხერხეულიძენი და 3) ქართული ნადიმი. თითოეულმა სურათმა დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში; განსაკუთრებით მოეწონათ ქართული ლხინი მრავალჟამიერით და საერო ცეკვა-თამაშით. აქაც საზოგადოებამ ერხელ კიდევ გაამეორებინა „ცანგალა გოგონა“. ცოცხალ სურათებში და ცეკვაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივ სტუმართა გარდა პეტერბურგელნი: ქ-ნი არლანი, ბ-ნნი ფალავანდიშვილი, იოს. მაყაშვილი, ქუთათელაძე, თარხნიშვილი და სხვანი, რომელთაც თვისის მოხდენილის ცეკვით ჯეროვანი ელფერი დასდეს ჩვენ სალამოს. ცოცხალ სურათებისათვის დრუმონდის ლამპარს აშუქებდა პროფესორი სრეზნევსკი, რისთვისაც გულითადს მადლობას უძღვნის დორპატის ქართველი სტუდენტობა.

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქ. იურიევში 14 თებერვალს გამართულს ქართულ სალამოს შესახებ გაზ. „Nordeivladische Zeitung“-ი სწერს:

ჩვენს ძველს საუნივერსიტეტო ქალაქში გამართულს ქართულს სალამოს განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა და მრავალ მხრივ საყურადღებო რამ იყო.

ქართველთა ერი, მდიდარის საშუალო ადგილით ტფილისით, რომელიც არა მეწნობს და საერთო სასარგებლო საქმისთვის გულ-უხვობას იჩენს ფულის გაღებით, ვერ ეღირსა უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის დაარსებას. ეს ერი შორს, შავის ზღვის ნაპირად სცხოვრობს და ბალტიის ზღვის მახლობლად სტუდენტთა ახალშენი აქვს და აი, ამ ახალშენმა თავისს ხელ-მოკლე წევრთა სასარგებლოდ 14 თებერვალს გამართა საერო სალამო. განსაკუთრებულის ხასიათის სალამომ უცხველი ერის წარმომადგენელი მიიზიდა და შეაერთა, რაც აქ არასოდეს არ მომხდარა. ეს მოახერხეს გუშინწინ ქართველებმა ქართულის სალამოთი. ამათ დაჰგზავნეს მოსაწვევი ბარათები და ყველა სიამოვნებით მიეგება ამ ბარათებს. სალამოს დაესწრნენ პროფესორები სახლობით, ჩვენის საზოგადოების წევრნი და აგრეთვე რუსთაგანნი, სტუდენტები და

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

თუნდ ღმერთიც ვიყო ზეცაში,
ვერვისგან დასამხობელი,
ძირს მთვარე მედგას, თავით მზე,
ვარსკვლავთა მანათობელი,
ანგელოსთაგან მესმოდეს
დიდება მოუთხრობელი,
მაინც აქ, შენთან მერჩივნა
ცრემლის ღვრა შეუშრობელი!..

დ. მაჩხანელი

### იუდის კერძი

ამბავი

(დასასრული *)

III

შაქრო გადახტიშვილი და გლეხი ნელ-ნელაობით ტკბილს ოცნებებში გართულნი, მეგობრულის საუბრით უახლოვდებოდნენ სოფ. გ—ნს. ბოლოს, ნაშუალამევის ორი საათი იქნებოდა გასული, რომ კიდეც შევიდნენ გ—ნში. იუდას კერძის სახლი სოფლის განაპირებით იდგა და ამიტომ ადვილი საცნობი იყო. მგზავრის იღბალზედ, თუმცა მთელი სოფელი ღრმა ძილს იყო მიცემული, გიგოლის სახლში, რაღაც მოულოდნელ შემთხვევის გამო, სინათლე ჰბჟუტავდა. ამ გარემოებამ უფრო გაუადვილა გლეხს ეჩვენებინა შაქროსთვის მისი სატრფიალო ბუდე; მიუთითა იმისკენ, დააყენა პირდაპირ გზაზედ, მისცა ხელში ჯოხი, რომ ძაღლები მოეგერებინა, დილამდის გამოემშვიდობა და გაშორდა თავისს სახლისკენ წასასვლელად.

შაქრომ გზაშივე გადაწყვიტა, რომ თავისი ვინაობა მშობლებისთვის დილამდის არ შეეტყობინებინა; მანამდის-კი, სხვა ცნობის მოყვარეობათა შორის, ძლიერ ეწადა გაეგო, ღედმამის თვალში ცოცხლად ითვლებოდა იგი თუ მკვდრად.

ეზოში რომ შევიდა, რასაკვირველია, ძაღლები გამოეგებნენ; ძაღლების ხმაზედ გიგოლიმ წამოავლო ჯოხს ხელი და გამოვიდა გარეთ.

— ვინა ხარ? დაუძახა შაქროს, რომელიც, თუმცა წყვდიადი იყო, მაინც საკმაოდ გაარჩია.

— მგზავრი ვარ, გზაში დამიღამდა, თუ ღმერთი გწამს, ამაღამ შემიფარე და პატივისცემას გადაგიხდი, მიუგო შაქრომ.

— რა დროჲ მგზავრობაა ამ შუაღამისას, შენიშნა გიგოლიმ, მაგრამ „პატივისცემის“ ხსენება ცოტა გულში ჩასწვდა, რადგან მცირეოდენს მოწყალებასაც მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დრო რომ არ არის, მეც იმისთვის გთხოვ ბინას; ღამე შენს სახლში გამათევეპინე და დილაზედ ჩემს გზას გავუდგები; უცხოელი ვარ, გზა არ გამეგება აქაური და კვალი; ღამე სიარული არ გამომადგება.

ამავე დროს გიგოლი მიუახლოვდა შაქროს, ძაღლები მოაშორა და რომ ნახა მდიდრულად იყო მგზავრი ჩაცმული, მოწიწებით უთხრა:

— შვილო, სახლში შემოსვლას როგო ღაგიშლი, ქრისტიანი კაცი ვარ, მაგრამ ძაან ღარიბი ვარ, შენი შესაფერი ლოგინი არა მაქვ და საჭმელი.

— ჩემო ბიძიავ, ღარიბი არა ვარ, მაგრამ ღარიბი ბევრი მინახავს; მაგისათვის ნუ შესწუხდები. შენს ლოგინზედ უკეთესი მე არ მინდა და პური კიდევ არა მშიან.

სტუმრის დანახვაზედ გიგოლის ცოლიც ფეხზედ წამოდგა და მდაბლად თავი დაუკრა.

პაწაწა შემქვარტლულს ქოხში კერაზედ იდგა თუნუქის უშუშო ლამპარი, რომელსაც საკმაო ბოლი და სუნი დაეყენებინა და ოდნავ აშუქებდა შავს კედლებს უბადრუკის ქოხისას. კერასთანვე ახლო ეფინა დაფლეთილი ნეჭა, რომელზედაც გაშლილი იყო მთლად დაკონკებული ქვეშსაგები.

სახლში შესვლისა და დედის დანახვისთანავე შაქრო რაღაც გაუგებარმა ჟრჟოლამ აიტანა: მისი მდგომარეობა არც სიხარულს ჰგავდა, არც-თუ სიმწუხარეს; არც ეტირებოდა, არც ეცინებოდა. ერთ ხანად ფიქრი მოსდიოდა—მოდი, გაშალე ხელები, ეცი ამ ჩამომხმარს, ბებერს, წელში ორად მოხრილს, სიღარიბისაგან ფერ-მიხდილს დედაკაცს, ჩაიკონე მაგრად მკერდში და შესძახე მაღალის ხმით: „დედავ, დედავ! შენი ვარ, სხვა არ გეგონოს!“ მაგრამ იმდარა სიმხნევე, დასძლია თავისი გულ-ზვიადობა და დედამის გახარება სადილოთ გადასდო, მით უმეტეს, რომ გათენებამდის ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი.

მასპინძლებმა შაქროს გოდორი მიართვეს ჩამოსაჯდომად. ჰკითხეს ვინაობა, მოგზაურობა და ბევრი სხვა. ყოველ კითხვაზედ შაქრო შესაფერს პასუხს აძლევდა, გარდა, რასაკვირველია, თავის ვინაობისა და მგზავრობის საგნისა, რის გამოც ბევრი იცრუა. ლაპარაკის დროს შაქრო იდუმალ ათვალიერებდა საკუთარის ბუდის მდგომარეობას და ნამეტნავად დედ-მამის სახეებს, რომლებზედაც ეძებდა ნაცნობს ნიშნებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ არამც-თუ დედ-მამა ველარ იცნობდნენ მას, არამედ ისიც ეგონა, რომ თითონაც ველარ იცნობდა იმათ; ეს ფიქრი უფრო მეტად სტანჯავდა. მაგრამ ეხლა, თუმცა მოხუცებულობასა და საშინელს სიღარიბეს მისის მშობლებისთვის საგრძნობელი დაღი დაესო, მაინც იგინი ძლიერ მალე იცნო; როცა უფრო დამშვიდდა, რაღაც სიამოვნების ღიმილს ჰგვრიდა ის გარემოება, რომ მშობლები ვერა სცნობდნენ.

— უეჭველია, შვილები გეყოლებათ? ჰკითხა მოხუცებს შაქრომ, როცა გული გულის ალაგას ჩაუჯდა.

— არა, შენ გენაცვალე,—მიუგო ბებერმა ამოხვრით:—ერთის მეტი არა გვყოლია და ისიც ღმერთმა არ მოგვცა.

— როგორ თუ ღმერთმა არ მოგცათ? ჰკითხა შაქრომ, რომელსაც ამ პასუხმა უსაზღვრო ცნობის-მოყვარეობა აღუძრა.

— იგრე, ჯერ ბალღი იყო, რო, ნადირმა შეგვიჭამა.

— სად, როგორ?

— იგრე რო ერთი ვირი გვყავნდა, როცა საძოვარზედ გავაგდებდით, შეჩვენებული ხასიათი ჰქონდა: თავის-თავად სახლში აღარ დაბრუნდებოდა, წავიდოდა, გადიკარგებოდა, ზოგჯერ ორი-სამი დღე უნდა გვეძებნა და ისე მოგვეყვანა. რასაკვირველია, ვირის საძებრად უფრო ხშირად ბალღს გავგზავნიდით ხოლმე. ერთხელ, სალამოს ჟამზედ გავგზავნეთ ტყის პირისკენ, საცა ვირი გვეგულებოდა; წავიდა და წავიდა; იგრე შენი მტერი და დუშმანი გაქრეს, როგორც ჩემი შაქრო იმ დღიდგან გაქრა და ჩაიყლაპა. მთელი ორი თთვე ვუარეთ ტყეს, ქვეყანა შევძარით და მისი ძვლებიც-კი ვეღარსად ვიპოვეთ. დაეშრიტა შაქროს დედას მას აქედ ორთავ თვალები და დავრჩით ობლად ეს ორი ბებერი უნუგეშოდ, უმოწყალოთ ცალკე დარდისაგან, ცალკე სიღარიბისაგან განადგურებულები.

— დიდი ხანია მას აქეთ, რაც თქვენს შვილს ეგ უბედურება შეემთხვა?

— კაი ხანია, სუ რო ცოტა, ოც-და-ხუთი წელიწადი იქნება მასუკან. ცოცხალი რო ყოფილიყო, ეხლა შენოდენა ვაჟკაცი იქნებოდა.

— დიდი უბედურება მოგვივიდათ, მაგრამ ღმერთი მოწყალეა გულს ნუ გაიტეხთ...

— დალოცვილი შვილო, პირი ორთავე სამარისკენ გვიჭირა,—მიუგო

*) იხ. „ივერია“ № 74.

სხვანი მრავალნი. სტუდენტთაგან ზოგი საბალოდ იყო გამოწყობილი და ზოგი ჩვეულებრივ ტანთსაცმელში. ლამაზ და მდიდრულ ტანთსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი ქალებიცა და ათას ნაირად აჭრელებულ აზიზილ-პიპილებული ხალხი საუცხოვო და თვალის წარმტაც ელფერსა სდებდა დარბაზს.

არც ერთს დამსწრეთაგანს იმედი არ გასცრუებია; ყველაფერი, როგორც წინდაწინ იყო ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ერთის საპატიო კაცისაგან, ბუნებრივი და ეროვნული იყო და საყურადღებო როგორც ეტნოგრაფიისა, ისე მუსიკის მხრივ. საღამოს გამგეთ არ დაეზოგათ ფული და ყოველ გვარი ღონისძიება ელონათ საღამოს ჯეროვანად მოსაწყობად. მარტო აქაური ქართველობა ვერ გაუძღვებოდა ამ საქმეს, პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა რომ არ დახმარებოდა ფულით და მონაწილეობის მიღებით. საუცხოვოდ და ხელოვნურად იყო მორთული დარბაზი და ფოიე, სადაც ათას ნაირად აჭრელებულს ფარდულებში ყოველ გვარი სასმელები და ყვავილები იყიდებოდა. იმ მონაწილეთა შორის, რომელნიც პეტერბურგიდგან გვეწვივნენ, უნდა აღვნიშნოთ ახალგაზდა კომპოზიტორი ბ-ნი ბალანჩივაძე, რომელიც მუსიკალურ სწავლა-ცოდნის დასამთავრებლად პეტერბურგის კონსერვატორიაშია; იყვნენ აგრეთვე ქალები, აფიცრები და ოსები მათის უდიდებულესობის კონვოიდგან.

ეროვნული სიმღერები, ხორო'ს მიერ აღსრულებული, სოლო და დუეტი საღამოს პირველ 2 განყოფილებას შეადგენდა. მდიდრულ ეროვნულ ტანთ-საცმელში გამოწყობილნი მომღერალნი ლამაზ სურათს წარმოადგენდნენ სცენაზედ და მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. საჭიროდ არა ვთვლით ხელ-ახლად განვმარტოთ ქართულ მუსიკის ხასიათი, რადგან ამ საგნის შესახებ ჩვენს გაზეთში საპატიო ავტორის წერილი იყო დასტამბული. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნამდვილად სწორედ ისე იმოქმედა საღამომ ჩვენზედ, როგორც წერილში იყო განმარტებული. სიცოცხლით სავსე, ეშხიანი სიმღერა იყო, მხოლოდ მიუჩვეველ ყურს ეხამუშა თარზედ სიმღერა, რომელმაც შესაფერად ვერ იმოქმედა. რაც შეეხება ხორის და ცალ-ცალკე მომღერალთ, უნდა ვთქვა, რომ მათ მიერ აღსრულებული სიმღერები სავსე იყო ლამაზის ჰანგებით და სრულიად შეეფერებოდა სიმღერების ხასიათსა. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა „ნანა, შვილო“, რომლის თარგმანიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. ხორის და ორკესტრის ჰლოტბარობდა ბ-ნი ბალანჩივაძე, რომლის ოპერა „თამარ-ცბიერიდგან“ მხოლოდ ერთი არია იყო მოთავსებული საღამოს პროგრამმაში. არიას ნამდვილი ეროვნული ხასიათი ჰქონდა და მისი აღსრულება იკისრა ჩვენის ქალაქის პატივცემულმა არტისტმა ქალმა. მშვენივრად აღსრულებულს არიას ხალხი აღტაცებით მიეგება. ქართულ მითოლოგიიდგან დადგმულ ცოცხალ სურათების ზედმოქმედებას ცოტა ასუსტებდა ხანგრძლივი ანტრაქტები, თუმცა ხელოვნურად იყვნენ დადგმულნი. საუცხოვო და დიდად სიცოცხლით სავსე სურათი იყო „ქართველთა ნადიმობა“. დიდი ტაშის ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია საერო ცეკვა თამაშობამ, რომელიც ბევრისაგან იქმნა შესრულებული და მათ შორის ოსისა და ერთის ქალისაგან. დიდად მოეწონა იქ მყოფთ ცეკვა, რომელიც სრულდებოდა სიმღერასთან და დოლთან ერთად. დოლს ხელების ცემით აძლიერებდნენ ხმას.

საღამოს შემდეგ გამართულ იქმნა ბალი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტობამ და ჩვენის ქალაქის ორივე სქესის ახალგაზდობამ. ცეკვას უფროსობდა მდიდრულ საერო ტანთ-საცმელში გამოწყობილი კოპწია ქართველი, რომელიც მარდად და ლამაზად ამბობდა ფრანგულს საცეკვაო სიტყვებს.

საერთოდ საღამომ კარგად ჩაიარა და შეგვიძლიან დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ბ-ნთ ქართველებმა გუშინ წინ კარგად და მოსაწონად გაგვაცნეს თავიანთი თავი *).

*) ამ ნომერშივე საკუთარი ჩვენი კორესპონდენცია იბეჭდება დორპატში გამართულ საღამოს შესახებ.

რედ.

## რუსეთი

ამ ჟამად შემოღებულ იქმნა ზოგიერთა ცვლილებანი საპასპორტო წიგნაკებში, სახელდობრ ორ-გვარი წიგნაკებია შემოღებული: 1) თავადაზნაურთა, მოხელეთა, სასულიერო წოდების კაცთა, საპატიო მოქალაქეთა და ვაჭართათვის, რომლის პირველ ფურცელზედაც დაბეჭდილი იქმნება: უვადოდ და ან ვადა, რა ვადითაც ეძლევა წიგნაკი, მეორე ფურცელზედ—სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და დაბადების დღე; მესამეზედ—სარწმუნოება, საცხოვრებელი ადგილი და ცოლი ჰყავს თუ არა; მეოთხეზედ—სამხედრო გარდასახადი გარდაიხადა თუ არა და აღნიშვნა იმ საბუთის ქაღალდებისა, რომლის მიხედვითაც პასპორტი მიეცა; მეხუთეზედ—პატრონის მიერ ხელ-მოწერილი და იმის ნიშნები, თუ წერა-კითხვის უცოდინარია; მეექვსეზედ—პასპორტის პატრონის შვილები და სხვანი, ბეჭედი და ხელ-მოწერილი უნდა იყოს იმისაგან, რომელმაც პასპორტი მისცა; მეშვიდეზედ—სამსახურის სია და მერვეზედ—საპასპორტო კანონთა მუხლები. 2) ხელოსანთა, მოქალაქეთა და სოფლის მცხოვრებელთათვის. წიგნაკის პირველ ფურცელზედ აღნიშნული იქმნება ვადა „ხუთის წლით ეძლევაო“ და დანარჩენ ფურცლებზედ ისევე, როგორც პირველს წიგნაკში. ამას გარდა, საპასპორტო ფურცლებს დღეიდგან ერთი და იგივე სახე ექმნება. წიგნაკს დასმული ექმნება რგვალი ბეჭედი და ქვეშ დაბეჭდილი იქმნება „ერთის წლის ვადაზედ არა უმეტეს“ და განსაზღვრული ვადა-კი შიგ წიგნაკში აღინიშნება.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დედათა სასულიერო სასწავლებლებში სეფისკვრის ცხობის სწავლება იქმნას შემოღებულიო.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, თუ რა ღონის ძიება უნდა იქმნას მიღებული სამეურნეო ფრინველების დასაცველადა და მოსაშენებლად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ქალაქების მმართველთ, რომ უცხოელ სახელმწიფოთა ავადმყოფი ქვეშევრდომები დაუბრკოლებლივ მიიღეთ ხოლმე საწამლებლად საავადმყოფოებში და შემდეგ სადიპლომატო გზით მოითხოვეთ ის ხარჯი, რაც ერგება საავადმყოფოსაო.

## უცხოეთი

**კრიტი.** ევროპის გაზეთებში დაბეჭდილია პეტერბურგიდგან გაგზავნილი დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებთან მორიგებით, შეადგინა ახალი პროექტი იმის შესახებ, თუ საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის გამგეობით როგორ უნდა მოეწყოს კრიტის საქმე. ამ პროექტის ძალით, ჟანდარმთა რაზმი შესდგება კრიტის მცხოვრებელთა, როგორც მაჰმადიანთა, აგრეთვე ქრისტიანთაგან. აგრეთვე ყოველგვარ თანამდებობაზედ ადგილობრივი მცხოვრებელნი იქმნებიან დანიშნული, მხოლოდ პირველ ხანს გენერალ-გუბერნატორს ნება ექმნება მოიწვიოს რამდენიმე მცოდნე კაცი, რომელნიც დახმარებას აღმოუჩენენ მმართვა-გამგეობის საქმეში. კუნძულის საქმეები უნდა განაგოს გუბერნატორმა განსაკუთრებულის კომიტეტის დახმარებით. ამ კომიტეტის წევრებს საერო კრება აირჩევს. გუბერნატორს ეწოდება „გამგე-მთავარი“, მაგრამ ეს თანამდებობა შთამომავლობით არ გადავა. სულთანს არავითარი უფლება არ ექმნება კრიტის შინაურ საქმეებში გაერიოს ხოლმე. მხოლოდ უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულობის დადების დროს, მაგალითად, ვაჭრობისა, ზღვაოსნობისა და სხვა-

---

გულ-ნატკენად გიგოლიმ—ღმერთს თუ ჩვენთვის მოწყალება ემეტებოდა არც შვილს დაგვიღუპავდა, არც აგეთ დღეში ჩაგვყრიდა; ეხლა რაღა დროს...

ამის პასუხად შაქრომ თითქმის ვერაფერიდა მოახერხა. მალე ისიც შენიშნა, რომ მოხუცებულებს ძილი მოერიათ, ამიტომ ბევრის ძიებას აღარ გამოუდგა, მოსთხოვა მასპინძლებს ლეიბი, საბანი, მუთაქა ან ბალიში და იქვე მათ მახლობლად გაიმზადა ლოგინი. მაგრამ, არ ვიცი, მოხუცებულების სასიამოვნებლად თუ თავისის სიმდიდრის გამოსაჩენად, სანამ ტანისამოსის გახდას დაიწყებდა, ამოიღო მასპინძლების წინ თავისი ფულის ქისა, რომელშიაც დასტა-დასტა ელაგა ათ თუმნიანები, დაიწყო იმათი გადაფურცვლა თავიდამ, შემდეგ, თითქო თვლა აერიაო, მოჰყვა ფურცვლას ბოლოდამ და როდის-როდის ამოიღო ხუთ-მანათიანი ქაღალდი, რომელიც გადააწოდა დიასახლისს და თან დააყოლა:

— დედაშვილობას, უკაცრავად-კი, ნუ ვიქნებით და დილაზედ ჩაი შაქარი მოიტანეთ ბაზრიდამ და ერთად ჩაი დავლიოთ.

მოხუცებულებმა რომ ამოდენა ფული ერთის კაცის ხელში დაინახეს, ისეთის განცვიფრებით შეჰხედეს ერთმანეთს, თითქო არ ეჯერებოდათ, რომ ამას ცხადლივ ჰხედავენ და არა სიზმარში.

მაინც გიგოლიმ ვერ მოითმინა და ჰკითხა სტუმარს:

— შენი ჭირიმე, ე ფული სახელმწიფოა თუ შენი?

— სახელმწიფო ფულს ჩემთან რა უნდა, ბიძიავ, ეს სულ ჩემი ოფლითა და მარჯვენით მაქვს შეძენილი.

— ბარაქა შენ მარჯვენას, რო მაგოდენა ფული შეუძენია, წარმოსთქვა გიგოლიმ რაღაც ისეთის გამომეტყველებით, თითქო უნდა ეთქვა: შენ მაგდონი ფული გაქვს, მე-კი შაური არ მომეპოვება, რომ აღდგომის დღეს ხატს კელაპტარი დავუნთოო.

ბოლოს ყოველი ხმაურობა მისწყდა. ლამპარი გაჰქრა. დაწვნენ, მიეცნენ ძილს; სტუმარმა მალე ხვრინვა ამოუშო.

### IV

არ დაეძინა მხოლოდ იუდის კერძს: თვალებში სულ ათთუმნიანები ელანდებოდა; ლოგინში არ ესვენებოდა; ჰშფოთავდა, ჰქშინავდა და სულ შამფურივით ტრიალებდა. ცხადად ემჩნეოდა, რომ თავში ბოროტი სული შეხიზნებოდა, ეშმაკის ცხენზედ შემჯდარიყო.

— ეს ვიღაც შემოეთრია ჩემს სახლში,—სჯიდა თავისთვის იუდის კერძი იუდისავე მსჯელობით—ვინ იცის, სადაურია; უკუმეთ ღამეს მოვიდა ჩემსას, მისი დამნახველი ჩვენი სოფლელი არავინ გამოვა; ჩემი შვილიც ნადირმა შეჭამა, მაგრამ კვალსაც ვერ მივაგენ; მოდი, მაინც ავ კაცს მეძახიან, ერთს ცოდოს ჩავიდენ, სიბერის დროს მაინც სიღარიბიდამ ამოვალ და რაც მოხდეს მოხდესო. შეეჯიბრნენ, შეებრძოლნენ ერთმანეთს იუდის კერძში გონიერება ადამიანისა მხეცის მძვინვარებასთან და პირველი შეიქმნა დამარცხებული: სამოც-და-ათის წლის ნადირმა, ადამიანის სხეულში გამოხვეულმა, მოძებნა ცული, დაუშო იგი შუბლში უნაღვლელად, მშობლების ჰერქვეშ ტკბილად მძინარე შაქროს და გამოასალმა იგი წუთი-სოფელს.

დაკვრის ხმაზედ უცბად გამოეღვიძა შაქროს დედას, ძილისა და სიბნელის გამო მალე ვერ გაარჩია, რა ამბავი იყო; მხოლოდ წამოჯდა ლოგინშივე, ხელი გაიწოდა ქმრისკენ და რა იგი თავის ადგილზედ ვერ შენიშნა, შეშინებით დაიძახა:

— კაცო, რა ამბავია, სადა ხარ!?

ამ დროს იუდის კერძი სტუმრის ტანისამოსის ჯიბეებში დათარეშობდა.

როცა უბედურმა ცოლმა შეიგნო ქმრის საზიზღრობა, გიჟსავით წამოვარდა ლოგინიდამ და შესძახა:

— შე შეჩვენებულო, ეს რა გიქნია!!

— ჩუმად, შენი საქმე არ არის!

— უი, შენ გაგაჩუმოს ღვთის მშობელმა დედამ! შე წყეულო, ეგ არ იცოდი, ახლა სიბერის-დროს კაცის კვლაც დაიწყე!!...

— ჩუმათ!

— ჩუმათ-კი არა, ეხლავე გავვარდები აქედამ და ქვეყანას შევყრი, შე ურჯულო და უღმერთო! რამ აგიბა თვალები? რამ ჩაგადენინა ასეთი უბედურება? ტვინი რამ დაგიბნია?!

— ჩუმათ!

— უი, მოგიკვდეს თავი, შე ნადირო! ეს რა გიქნია? სიბერის დროს ეს რა მაჩვენე?! არ გაგითენოს აღდგომა, ისე დაგიბნელდეს დღე, როგორც ამ საცოდავისთვის შენ დაგიბნელებია.

— ჩუმათ!

ბევრი აგინა და სწყევლა უბედურმა თავისი ქმარი. უკანასკნელი-კი მხოლოდ იმის ზრუნვაში იყო, რომ ახლა როგორმე თავისის საზიზღარის მოქმედების კვალი დაეფარა, დაემალა.

არც-თუ ეს გაძნელდა: ვენახი იქვე, სახლის გვერდზედ, ჰქონდათ; აქ გაუთხარა შაქროს საფლავი და სანამ რიჟრაჟი დაიწყებოდა, ყველაფერი გაუთავა.

მხოლოდ არ უთავებდა ჩხუბს ბებერი თავისს ქმარს. ქმარი-კი გაქვავებული უგდებდა ცოლის გინებას ყურს და მხოლოდ შიგა-და-შიგ გამოეპასუხებოდა ხოლმე მოკლედ.

— კარგი, გეყოფა!

### V

გათენდა დილა. შაქროს ღამინდელს მეგობარს უკვე მოეფინა მთელს სოფელში ხმა, რომ იუდის კერძს დაკარგული შვილი მოუვიდა და თან აუარებელი სიმდიდრე მოიტანაო.

ბევრს არა სჯეროდა, მაგრამ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მიაშურეს გიგოლის სახლისკენ. სოფლის თითქმის ყოველი კუთხიდამ მოდიოდა ჯგუფ-ჯგუფად დიდი და პატარა, უფრო-კი, რასაკვირველია, დედაკაცობა. ყველას საშინლად ჰსურდა მალე დაენახა დაბრუნებული შვილი და ბევრს დედაკაცს გზაშივე მოსდიოდა ცრემლები დედაშვილურის გრძნობის გაღვიძებით.

სახლის ეზოდამ იუდის კერძმა მალე შენიშნა ეს აუარებელი ხალხი და როცა დარწმუნდა, ჩემკენ მოდიანო, ელდა ეცა: „ნუ-თუ შემიტყესო“.

— მოგვილოცნია! მოგვილოცნია! მოგვილოცნია! ერთხმად შეჰღრიალა ხალხმა იუდის კერძის და მისის ცოლის დანახვაზედ.

ეხლა-კი აუკანკალდა იუდის კერძს მუხლები და უფრო მეტად საბრალო მისს ცოლს. გიგოლი დარწმუნდა, რომ ავაზაკობა შეუტყეს.

— ქა! ერთი ჩვენც დაგვანახვე— მიჰმართეს დედაკაცებმა სიცილით, მხიარულობით ბებერს, რაწამს ეზოში ფეხი შემოდგეს და თვალი მოჰკრეს.

— რა ამბავია? რას ეძებთ? ძლივს წარმოსთქვა ფერ-მიხდილმა ბებერმა ათრთოლებულის ენით და თან ჰგრძნობდა, რომ ფეხები ეკვეცებოდა.

— „იმე, შაქრო დაგბრუნებია, იმის სანახავათ მოვედით!

მიაძახეს დედაკაცებმა, რომლებიც მოუთმენლობის გამო ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ.

— შა...ქროო..! ძროხასავით დაიღრიალა საბრალო დედამ და ცელგამოსმულ თავთავივით დაეცა მიწაზედ.

რასაკვირველია, იმავე დღეს მართალი გამომჟღავნდა. იუდის კერძი სამართალში მისცეს. მაგრამ რად უნდოდა სასამართლო: იგი უიმისოდაც დასჯილი იყო.

ალ. მირიანაშვილი

თა შესახებ, აგრეთვე სესხის აღების დროს, გუბერნატორმა სულთანს უნდა მიჰმართოს და იმისაგან ნებართვა აიღოს, იმ პირობით-კი, რომ სულთანს არ შეუძლიან უარი შეუთვალოს. კრიტმა უნდა აძლიოს სულთანს ყოველ წლივ დიდთა სახელმწიფოთა მიერ ერთხელვე გადაწყვეტილი და დადებული გარდასახადი. რადგანაც ამ ჟამად კუნძულის ფინანსები მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, რუსეთს, საფრანგეთს და ინგლისს აზრადა აქვთ უზრუნველ ჰყონ კრიტისათვის სესხის აღება. ამავე დროს განსაკუთრებულს საერთა-შორისო კომისიას მიენდობა კუნძულის საფინანსო საქმეების მოწყობა. იმავე გაზეთების სიტყვით, რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი აჩუქებენ კრიტს ორ-ორ პატარა გემს, რომელთაგანაც უნდა შესდგეს კრიტის ფლოტი.

—

**საბერძნეთი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კარდიცის, რომელმაც საბერძნეთის მეფის და იმის ქალიშვილის მოკვლა განიზრახა, ჩამორჩობა გადაუწყვიტეს. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ კარდიცამ თვით მეფეს მიჰმართა და სთხოვა სასამართლოს განაჩენი გააუქმეთ, რადგანაც მე ჭლექითა ვარ ავად და საბერძნეთის კანონის ძალით-კი ჭლექიანის სიკვდილით დასჯა არ შეიძლებაო.

## ნაკვესი

—

— რა ამბავია, რომ თუთიყუშის გალიას მოსჯდომიხართ და სტირით?

— ეს თუთიყუში ძალიან მაგონებს ჩემს სულით განათლებულს მეუღლეს.

— თუთიყუში? რა მსგავსებაა, არ მესმის?

— თუთიყუში რომ დაიწყებს ხოლმე დაყინებით: „სულელო“, „სულელო“, ასე მგონია, ჩემი ცხონებული ცოდი გატოცსლებულა მეთქი.

## ახალი ელექტრო-ტეხნიკური მანქანა რკინის გზებზედ სახმარებლად უბედურ შემთხვევების ასაცდენად ტეხნიკის ალექსანდრე ი. ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი და გაკეთებული.

ამ ახლად გამოგონილს მანქანას, როგორც ვიცით, დღეს დიდი ყურადღება მიაქციეს ყველგან, ნამეტნავად უფრო იმის შემდეგ, რაც ვარშავის რკინის გზებზედ გამოსცადეს გასულს წელს. მანქანა ეხლაც მუშაობს ამ გზებზე. „სავაჭრო სამანუფაქტურო დეპარტამენტმა“ დიდად მოიწონა მანქანა და პრივილეგია მისცა ბ-ნ ჯავახიშვილს. პეტერბურგის ერთის ქარხნის პატრონი, პირველის გილდის ვაჭარი ბ-ნი ვოსადლო უკვე პირობით შეეკრა ბ-ნ ჯავახიშვილს, რომ რუსეთის ყველა გზებზედ სანახევროდ უნდა დაიწყონ ამ ახალი მანქანის გაკეთება. სხვათა შორის ამ დღეებში მოუვიდა ბ-ნ ჯავახიშვილს თხოვნა საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების წარმომადგენელ ბ-ნ ლეფევროსაგან, რომელსაც ბ-ნ ჯავახიშვილის მიერ გაგზავნილი ნიმუში მანქანისა ძლიერ მოსწონებია და სთხოვს, რაც შეიძლება მალე გამართოს საფრანგეთშიაც ამ გვარი მანქანები. აშკარაა, მალე ყველგან დაიწყობენ ამ ახალ მანქანის გამართვას და ხმარებას. ბ-ნი ალექსანდრე ჯავახიშვილი 26—28 წლის კაცია.

თუ რა მანქანაა და ან როგორ გამოიგონა ეს ახალი მანქანა ბ-ნ ჯავახიშვილმა, ამის შესახებ მოგითხრობთ მოკლეთ, რაც ვიცი, ანუ ვნახე თვალით და რის საბუთებიც ხელთა მაქვს.

ვინ არ იცის, რომ მთელ ევროპაში და ნამეტნავად ხომ უფრო რუსეთში, სადაც-კი რკინის გზებია და მატარებლები დადიან, ყველგან ხშირია მრავალ გვარი სხვა-და-სხვა უბედური შემთხვევა. ამ ბოლოს ხომ უფრო გახშირდა მატარებლების ერთი-ერთმანეთზედ დაჯახება, დამსხვრევა და მგზავრების დაშავება და სიკვდილიც. ყოველ ამ გვარ უბედურების მიზეზად-კი უფრო ხშირად არიან ხოლმე, რასაკვირველია, რკინის გზებზედვე მოსამსახურეები, ან დეპეშების მიწერ-მოწერის გაუგებრობის გამო უდროვო დროს გასტუმრებ-გამოსტუმრებით მატარებლებისა და ან მემანქანის დაუდევნელობა; აღნიშნულ დროს და მანძილის კვალობაზედ არ ატარებენ ხოლმე მატარებლებს, ხან ძლიერ უკლებენ ხოლმე სიარულს და ხან-კი ძლიერ აუჩქარებენ და სხვ... ყოველ ასეთი მიზეზებისაგან მომხდარ უბედურების თავიდგან ასაცდენლად ბევრი სხვა-და სხვა საშუალება იქმნა მიღებული, მაგრამ ყველა ამაო იყო და ვერაფერმა ვერ იხსნა მატარებლების ერთი-ერთმანეთზედ დატაკება. აი სწორედ ამისთვის გამოუგონია საუკეთესო მანქანა ბ-ნ ჯავახიშვილს. ბ-ნ ჯავახიშვილმა ელექტრონული ძალის საშუალებით გაჰმართა ეს ახალი მანქანა. მერე როგორ? სულ უბრალოდ: რკინის გზის ლიანდაგების დაკეტვა-გაღებით; ბ-ნ ჯავახიშვილის მიერ მოგონილი ელექტრონული მანქანა ყუთებშია მომართული. ეს ელექტრონული ყუთები ლიანდაგებზედ უნდა მიეკრას. მაგალითად, ერთი ასეთი ყუთი სადგურთან იქნება მიკრული, საიდგანაც მატარებელი უნდა გაისტუმრონ და სხვები თითო ყველა საყარაულოებთან მანძილის კვალობაზედ და იმის მიხედვით, თუ რამდენი მატარებელი ივლის დღეში ამ გზაზედ. ეს ყუთები, რამდენიც იქნება დადგმული, ყველა ერთი-ერთმანეთზედ მავთულებით გადაბმული იქნება. მაგალითად, როდესაც მატარებელი პირველად შესდგება ამ ლიანდაგზედ, საიდამაც უნდა წავიდეს, მატარებლის შედგომის უმალვე მწრაფლ დაიწყობს პირველი ყუთის მანქანა თავისის ელექტრონულის ბატარეიებით მოძრაობას, რაიცა ატყობინებს შემდეგ ამხანაგებს ე. ი. ყველა გზების მანქანები მოძრაობაში მოჰყავს. საყარაულოსთან დადგმულ ყუთის მაგვარ მანქანიდამ გამოვარდება ხელის ოდენა რკინის ფირფიტა, რომელზედაც ზედ ეწერება „გზა გახსნილიაო“ და ამავე დროს ამ მანქანების მოძრაობით მატარებლის გასავლელ გზის გარდა წინ და უკან რამდენსამე მანძილზედ ლიანდაგის გზა ისე იკეტება, რომ სანამ ეს პირველი მატარებელი არ წავა და არ გადასცილდება აღნიშნულ მანძილს, მანამდის სხვა მატარებელს არ შეუძლიან ამ პირველ მატარებლის ახლო მოსვლა. როცა ერთი საყარაულოდგან ანუ მიჯნიდგან მეორეს გადასცილდება, მხოლოდ მაშინ იხსნება თავის თავათ გავლილი გზა უკან. ამ გვარათ მომართულ გზებზედ არავითარი შიში არა აქვს თუნდა ერთმა მატარებელმა მეორეზედ ნელა იაროს და მეორემ ძრიელ ჩქარა, მაინც ერთი-მეორეს ვერც წინიდამ და ვერც უკანიდამ ვერ დაეჯახება, რადგანაც დანიშნულ მანძილზედ, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, წინ და უკან გზა შეკრული ექმნება ყოველთვის და მხოლოთ მაშინ იხსნება გზა, როცა ერთი მანძილიდამ მეორეზედ გადადის მატარებელი, ასე ყველგან იქნება მომართული მანძილიდამ მანძილამდე ყველა გზებზედ. ეს ახალი მანქანა კიდევ კარგი იმითია, რომ ვერც თოვლი-ყინვა და ვერც ლაფი და სინოტივე ვერაფერს ავნებს. გარდა ამისა ეს მანქანა ისეთი უბრალო და ადვილია, რო ყოველ უცოდინარ კაცსაც-კი ადვილად შეუძლიან ამ მანქანის მიბრუნ-მობრუნება, მომართვა, მოხსნა და სხვ.

შაქრო ი. ვაჩნაძე

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: იულია რევაზის ასულმა ჯავროვისამ ერთი ნაკერი ბალიში და სამი ჩიგინით ნაკერი მუთაქა; ანასტასია კონსტანტინეს ასულმა გედევანიშვილისამ ვერცხლის არაყის ჭიქა. კარგი იქმნება, ვისაც კი ამ საქმისთვის გული შესტკივათ, დაიჩქარონ და მალე გამოჰგზავნონ შემოწირულებანი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 აპრილი

**რეტიმნო.** 7 აპრილს მოვიდა ადმირალი სკრიდლოვი. მთელის რაზმისა და დიდის ხალხის თანადასწრებით გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და გაიმართა ლიტონია, რის შემდეგ დაუწყეს პურის დარიგება კრიტის კუნძულის გაჭირვებულ მცხოვრებლებს. გარდა ამისა ათასს კაცს სადილი დაურიგეს. ხალხი ძლიერ აღტაცებულია. საგანგებო წესიერებაა. აღდგომის დღესასწაულისა გამო ადმირალმა აპატია დანაშაული ექვს მაჰმადიანს, რომლებმაც თოფები ესროლეს რუსეთის ჯარს.

**ვაშინგტონი.** დღეს მაკ-კინლეიმ ხელი მოაწერა რეზოლიუციას და ულტიმატუმს. ულტიმატუმში სწერია, რომ ესპანიამ კუბას კუნძულიდგან ჯარი უნდა წაიყვანოსო და ვადა ეძლევა შაბათამდე, დილის 6 საათამდე.

მაკ-კინლეიმ დილის 11 საათსა და 20 წუთზე ხელი მოაწერა კონგრესის გარდაწყვეტილებას. ულტიმატუმის პირი გაეგზავნა ესპანიის ელჩს, რომელმაც პასუხის მაგიერ თავის პასპორტები მოითხოვა.

**კანეა.** ხელმწიფე იმპერატორის სამრავალჟამიეროდ, გარდახდილ პარაკლისის შემდეგ, ადმირალის სკრიდლოვისა, რუსეთისა და საფრანგეთის აფიცრების თანადასწრებით დაუწყეს ფქვილისა და სადილის დარიგება ყველა სარწმუნოების ღარიბ მცხოვრებთ. ხალხის აღტაცებას სამზღვარი არა აქვს.

**იოკაჰამა.** ოფიციალური ორგანო სწერს, რომ მალე საკეთილოდ დამთავრდება მოლაპარაკება რუსეთსა და ისპანიას შორის კორეას შესახებ.

**მადრიდი.** დედოფალმა წაიკითხა სენიტში ეპისტოლე, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ თუ შეერთებულ შტატების მთავრობა აჰყვება ერის სურვილს, ესპანიისათვის საქმე საძნელო გახდება და იძულებულნი ვიქმნებით ყოველივე კავშირი მოვსპოთო. ეპისტოლე ესე თავდება: „მოსალოდნელი გაჭირვება არ აღემატება ესპანიის ძლიერებასა და სიმხნევეს. სახელოვანის ფლოტისა და ჯარის შემწეობით და ღმრთის წყალობით, ჩვენ, როგორც ჩვენი წინაპარნი, სახელოვნად დავახწევთ თავს ამ უმიზეზოსა და უსამართლო გაჭირვებას.

კორტესები დაუყოვნებლივ შეიკრიბებიან და თუ საჭირო იქმნება, ღამეც ექმნებათ ბჭობა. ყველა დასის სენატორებმა და დეპუტატებმა გადასწყვიტეს უარ-ჰყონ მოთხოვნილება შეერთებულ შტატებისა და გადასდონ ომისთვის საჭირო ფული.

**ვაშინგტონი.** ვერნაბე ვაშინგტონიდგან მადრიდს წავიდა. ვუდფორდმა მიიღო ულტიმატუმი და ხვალ გადასცემს ესპანიის მთავრობას.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ცნობ. ფურც.“-ის 481 №-ში ქუთაისელი კორესპონდენტი შეეხება ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობას, სადაც ცოტაოდენი შრომა მეც მიმიძღვის, იგი ამბობს: „ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის „საქმენი იქნება გახდნენ საარაკონიო“. რაც მ. გურიელის თხზულებანი გამოსცეს, მას შემდეგ ამხანაგობის გამოცემული პატარა წიგნიც არ გვინახავსო, ხოლო საქმე ამხანაგობის გამგეობისა მეტად გამოურკვეველი არისო და სხვა“. შემდეგ რჩევას იძლევა: „მოიგონოს გამგეობამ ტფილისის ამხანაგობის ამბავი და, თუ მართლა საქმე განსაცდელშია, ტყუილ-უბრალოდ ხელს ნუ აფარებენ იარას. მავნე მუწუკი რაც ადრე გამოირწყება, მით უკეთესიაო“. თქვენს პირს შაქარი, ბ-ნო კორესპონდენტო, რომ ასეთი დარიგება მოგვეცით, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ქუთაისში ბრძანდებით, ასეთ გულმტკივნეულობას იჩენთ საზოგადო საქმისათვის და დანამდვილებით ვერ გაიგეთ, რაც ამხანაგობის შესახებ ან მომხდარა, ან ხდება. ეს მართალია, რომ მ. გურიელის თხზულების შემდეგ ამხანაგობას არაფერი გამოუცია, დანარჩენი თქვენი ნათქვამი თქვენის საკუთარის ფანტაზიის ნაყოფია. უმჯობესი არ არის მობძანდეთ ამხანაგობის გამგეობაში, აიღოთ დავთრები ან დაბეჭდილი ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა და ჭეშმარიტი მდგომარეობა საქმისა აცნობოთ საზოგადოებას? მაგალითად, ჩვენ ვერ მივხვდით, რას ნიშნავს თქვენი გაუგებარი ფრაზა: „ამხანაგობის საქმენი იქნება საარაკონი გახდნენო“. თუ იცით რამე, თქვე დალოცვილო, რასა ჰმალავთ, დაგვისახელეთ, რა მიზეზების გამო გახდებიან საქმენი ამხანაგობისა საარაკოდ? იქნება ეს მოწყალებაც მოიღოთ ჩვენზედ, რომ გზა გვაჩვენოთ და ეს მიზეზები თავიდგან აგვაცილოთ. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ავადმყოფისათვის მარტო ის არა კმარა, უთხრათ: ავადა ხარ და მორჩიო; საჭიროა ავადმყოფობის მიზეზიც გამოიძიოთ და შემდეგ შესაფერი წამალიც მისცეთ. ამიტომ თქვენ, როგორც სულიერ ექიმს, მოგმართავთ და გთხოვთ, გვიყავით წყალობა და გვიჩვენეთ გზა ხსნისა. მერე ბრძანებთ: „საქმენი ამხანაგობისა მეტად გამოურკვეველიაო“. შეიძლება თქვენთვის იყოს მეტად გამოურკვეველი, რადგან თქვენ ცოტა რამ გცოდნიათ ამხანაგობის შესახებ, ხოლო ამხანაგობის წევრთათვის ყველაფერი გამორკვეულია, რადგან წასულ წელს ამხანაგობას საზოგადო კრება ჰქონდა და დაბეჭდილი და სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებული ანგარიში მოხსენდა. „იარას ხელს ნუ აფარებთო“, ჰბრძანებს მრისხანე კორესპონდენტი. რომელ იარისას ბრძანებთ, მართლის მოყვარე კორესპონდენტო? რატომ სახელდობრ არ ამბობთ, რომ პასუხი მოგცეთ ვინმე? ეგ ხომ ზოგადი და გაუგებარი ფრაზაა; ეს ხომ იმას ეგვანება, რომ მე, თუმცა თქვენის ცნობის ბედნიერება არა მაქვს, მაგრამ ვსთქვა: „ცნ. ფურც“-ის ქუთაისელ კორესპონდენტს ენაზე ბალღამიანი მუწუკი გამოსვლია და კარგი იქნება, რომ ჯერ ამ მუწუკს გამოირწყავდეს და შემდეგ კორესპონდენციას გაგზავნიდეს“.

ჩვენც ძალიან ვწუხვართ, რომ ქუთ. წიგ. გამომ. ამხ. საქმე კუს ნაბიჯით მიდის, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჯერ ხანობით უმჯობესად წაყვანა ვერ ხერხდება. გვირჩიეთ, ბატონო, დაგვარიგეთ და მადლობის მეტს არაფერს მოგახსენებთ. საქმის კარგად წაყვანა თქვენზედ ნაკლებ არც ჩვენ გვიამება. კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოში საკითხავ წიგნს არა აქვს დიდი გასავალი—ბაზარი. გამოცემული წიგნი რომ გასასყიდად დარიგდება, ათი წელიწადი უნდა უცადო, რომ იგი გაიყიდოს და დახარჯული ფული უკან დაიბრუნო. მერე ეს დაბრუნება რა ხათაბალა და ცეცხლია, ეს ყველამ კარგად იცის, ვისაც-კი როდისმე ჩვენში წიგნი გამოუცია. აი ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რის გამოც ქუთაისის ამხანაგობა ასე გვიან-გვიან ჰბეჭდავს წიგნებს. სხვა მიზეზიც ბევრია, მაგრამ ყველა მოხსენდა საზოგადო კრებას, ამიტომ საჭიროდ არ ვთვლი აქ ისინი მოვიხსენიო.

თ. მთავრიშვილი


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ავლაბარში ახალს სამების უბნის მახლობლად დაარსებულ იქმნა საავადმყოფო გადამდებ სენით ავადმყოფთათვის. საავადმყოფოში იღებენ ბავშვებს 14 წლამდის და დედებს. ავადმყოფებს უფასოდ იღებენ.

(3—წ.—3)

### ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს ეპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარსა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

### ისყიდება

### მიწა ნაჭრებად

არტილერიის ყაზარმის ახლოს, მუშტაიდის პირდაპირ, 3 მ.—4 მ. საჟენი.

იკითხეთ ვერაზედ, წყნეთის ქუჩაზედ, № 2, სანდრო მინდიაშვილთან.

(2—68—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ჩვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |


Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Апрѣля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.